საქართველოს მთავრობის

დადგენილება №371

2020 წლის 16 ივნისი

ქ. თბილისი

საავტომობილო გვირაბებში საგანგებო შემთხვევების პრევენციისა და საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „საავტომობილო გვირაბებში საგანგებო შემთხვევების პრევენციისა და საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების ტექნიკური რეგლამენტი“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საავტომობილო გვირაბებში საგანგებო შემთხვევების პრევენციისა და საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის №260 დადგენილება.

მუხლი 3

„საავტომობილო გვირაბებში საგანგებო შემთხვევების პრევენციისა და საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლით განსაზღვრული საავტომობილო გვირაბების მიმართ ეს დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**